

671-15-11-2-201801151630



N 15-11/671

15/01/2018

თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ჩინჩალაძეს

სასამართლოს მეგობრის (Amicus curiae) მოსაზრება

ბატონო მიხეილ,

2017 წლის 24 დეკემბერს საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა ადვოკატი : ნ^o 1 ის N18243/17 მომართვის საფუძველზე დაიწყო მოქალაქე რ. ას (პ/ნ: 1) საქმის შესწავლა. საქმისწარმოების ფარგლებში სახალხო დამცველის აპარატმა გამოითხოვა ინფორმაცია სხვადასხვა ორგანოებიდან, აგრეთვე განახორციელა ზ. რ. ას სასამართლო პროცესის მონიტორინგი.

დოკუმენტაციის შესწავლისა და სასამართლო მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა, რომ რ. ს საქმე ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის დამახასიათებელი ფუნდამენტური ხარვეზების ნათელი დადასტურებაა. მოცემული საქმე ასევე ასახავს სასამართლოში დამკვიდრებულ არასწორ პრაქტიკას, რომლის შედეგად მოქალაქეები

კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებული გარანტიების გარეშე რჩებან. ნეიტრალური მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ პოლიციელის ჩვენებაზე დაყრდნობით პირის პასუხისებაში მიცემა ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას და იწვევს მტკიცების ტვირთის სახელმწიფოდან მოქალაქეზე გადასვლას, რაც უდანაშაულობის პრეზუმეციას არღვევს.

ასევე ნიშანდობლივია არაპირდაპირი გავლენა, რომელიც მოცემულ საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას ექნება პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების პრევენციის მხრივ. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა დაცვის კონსტიტუციური მანდატის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად ჩავთვალე, მომემართა სასამართლო მეგობრის მოსაზრებით. ვიმედოვნებ, რომ წინამდებარე მოსაზრება სასამართლოს განსახილველი საკითხის სათანადოდ შეფასებაში დაეხმარება და დადგენილი პრაქტიკით შესაძლებელი გახდება იმ სისტემური ხარვეზების პრაქტიკულ დონეზე გამოსწორება, რომელიც დღესდღეისობით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოძველებული დებულებებით არის განპირობებული.

სასამართლოს მეგობრის მოსაზრებით მიმართვის უფლებამოსილება

მოგეხსენებათ, საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, „სახალხო დამცველი უფლებამოსილია გამოავლინოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევის ფაქტები, შეატყობინოს ამის შესახებ შესაბამის ორგანოებსა და პირებს“.¹

„საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონის თანახმად, „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია, [...] ცალკეულ შემთხვევებში შეასრულოს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქცია საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტუტიციო სასამართლოში“.²

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის თანახმად, „ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ 5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით“.³

ვსარგებლობ რა მითითებული ნორმებით მონიჭებული უფლებამოსილებით, წარმოგიდგენთ ჩემს წერილობით მოსაზრებას აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. მოსაზრება მიზნად არ ისახავს საქმის რომელიმე მონაწილის მხარდაჭერას.

ფაქტობრივი გარემოებები

¹ საქართველოს კონსტიტუცია, 43-ე მუხლის მეორე პუნქტი.

² „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანული კანონი, 21-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, მუხლი 16¹, პირველი პუნქტი.

2017 წლის 23 დეკემბერს ზ დაკავებულ იქნა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის გამო. 2017 წლის 29 დეკემბერს იგი თბილისის საქალაქო სასამართლომ ბრალეულად ცნო ორივე სამართალდარღვევის ჩადენაში და სახდელის სახით გამოიყენა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით. 2018 წლის 6 იანვარს აღნიშნული გადაწყვეტილება დაცვის მხარემ თბილისის საპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.

საგულისხმოა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში არ წარდგენილა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც სამართალდარღვევის ოქმში მითითებული ქმედებების ჩადენას დაადასტურებდა. დამკავებელმა პირებმა სასამართლოში განცხადეს, რომ მათ არ გააჩნდათ სამხრე კამერები, ხოლო პირადი მობილური ტელეფონით განხორციელებული ჩანაწერი დაკავების შემდგომ პერიოდს ასახავს. სასამართლოში მოწმის სახით დაკითხულმა ორმა მოქალაქემ ასევე მხოლოდ დაკავების შემდგომ განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა.

შესაბამისად, იმ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით, რაც ზე ას დაკავების საფუძველი გახდა, და რაც წარმოადგენს მისი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საფუძველს, სასამართლოს შეძლო ემსჯელა მხოლოდ დამკავებელ პირთა და დაკავებული პირის განმარტებებზე დაყრდნობით.

ზე არ მა სახალხო დამცველის რწმუნებულთან გასაუბრებისას და სასამართლო პროცესზე განაცხადა დაკავების დროს სამართალდამცავ პირთა მიერ არასათანადო მოპყრობის (ცემა, ფიზიკური და ვერბალური შეურაცხყოფა) განხორციელების შესახებ. სახალხო დამცველის აპარატის მიერ გამოთხოვილი დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ დროებითი მოთავსების იზოლატორში მოთავსებისას ს ს სხეულის სხვადასხვა ადგილებზე (ზედა და ქვედა კიდურები, თავი, ზურგი) 11 სხვადასხვა სახის დაზიანება აღენიშნება.

სამართლებრივი შეფასება

საქართველოს კონსტიტუცია სამართლიანი სასამართლოს უფლებრივი ქოლგის ქვეშ სხვადასხვა გარანტიებს მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ მათგან არაერთი (მაგ. დაცვის უფლება)⁴ ერთნაირად მიემართება როგორც სისხლის, ისე – ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში აღნიშნული გარანტიები არ აისახება. კოდექსი არ იცნობს მტკიცების ტვირთისა და მტკიცების სტანდარტს, უდანაშაულობის პრეზუმაციასა და სამართლიანი სასამართლოს შემადგენელ სხვა ფუნდამენტურ ინსტიტუტებს.⁵ არაერთი კვლევა ადასტურებს ამ მიმართებით არსებულ პრაქტიკას, რომელიც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნებს.⁶

⁴ საქართველოს კონსტიტუცია, 42-ე მუხლის მესამე პუნქტი.

⁵ იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 463–465.

⁶ მართლმსაჯულების დამოუკიდებისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), „როგორც შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება“, 2013,

შესაბამისად, სასამართლომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისას არ უნდა იხელმძღვანელოს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმებით, რადგან ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა როგორც კონსტიტუციასთან, ისე – კოდექსზე უპირატესი ნორმატიული ძალის მქონე ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კონვენციის მოქმედებას ავრცელებს ისეთი ტიპის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზეც, რომლისთვისაც სანქციის სახედ გათვალისწინებულია პატიმრობა.⁷ მოცემულ შემთხვევაში, ზე ? რ ათვის წარდგენილი სამართალდარღვევა სანქციის სახედ ითვალისწინებდა 15 დღემდე ადმინისტრაციულ პატიმრობას.⁸ ამრიგად, სასამართლოს უნდა ეხელმძღვანელა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლო საკმარისად არ მიიჩნევს მხოლოდ პოლიციელის განმარტებას და სახელმწიფოს ავალდებულებს სადაც ინფორმაციის გადამოწმებას.⁹ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, სასამართლო არასარწმუნოდ მიიჩნევს გამოძიებას, რომლის დასკვნები მხოლოდ მოწმე პოლიციელთა ჩვენებებს ეყრდნობა.¹⁰ სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფომ უნდა მოიძიოს ნეიტრალური მტკიცებულებები, რადგან პოლიციის ოფიცერთა ჩვენებები შეიძლება თავდაცვითი ხასიათის იყოს.¹¹

მოცემულ საქმეში, ზე ? ის დამკავებელ პირებს არათუ შეეძლოთ ნეიტრალური მტკიცებულების მოპოვება, არამედ ეს კანონით ევალებოდათ კიდეც. 2017 წლის 22–24 დეკემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე სპეციალური საპოლიციო კონტროლი ხორციელდებოდა.¹² „პოლიციის შესახებ“ კანონის თანახმად, სპეციალური საპოლიციო კონტროლის განხორციელებისას პოლიციელი აღჭურვილი უნდა იყოს ფორმის ტანსაცმელზე დამაგრებული ჩართული ვიდეოგადამღები ტექნიკით.¹³

დამკავებელმა პირებმა სასამართლოზე განმარტეს, რომ მათ, როგორც კრიმინალური პოლიციის წარმომადგენლებს, არ გააჩნიათ სამხრე კამერები, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება პოლიციის შესახებ კანონის დანაწესს. კანონი მოითხოვს სპეციალურ საპოლიციო კონტროლში მონაწილე ყველა პირის სამხრე კამერით აღჭურვას, განურჩევლად მათი სტრუქტურული ერთეულისა. პოლიციელებმა როგორც სასამართლოსთვის, ისე – გენერალური ინსპექციისთვის მიცემულ ახსნა-განმარტებებში დაადასტურეს, რომ 23 დეკემბერს სპეციალურ საპოლიციო კონტროლში მონაწილეობდნენ. შესაბამისად, ისინი აღჭურვილი უნდა ყოფილიყვნენ სამხრე კამერებით.

ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO_Admin_Regime_JILEP_Report_Oct_30_final.pdf>

⁷ ზილიბერბერგი (Ziliberberg) მოლდოვას წინააღმდეგ, 2005; ზაიცევს (Zaicevs) ლატვიის წინააღმდეგ, 2007; ნიკოლეტა გეორგე (Nicoleta Gherghe) რუმინეთის წინააღმდეგ, 23470/05, 2012; კემპბელი და ფელი (Campbell and Fell) გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ, 1984 და ა.შ.

⁸ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლი.

⁹ ვირაბანი (Virabyan) სომხეთის წინააღმდეგ, 40094/05, 2012.

¹⁰ ოჩელკოვი (Ochelkov) რუსეთის წინააღმდეგ, 17828/05, 2013.

¹¹ ბარაბანშჩიკოვ (Barabanshchikov) რუსეთის წინააღმდეგ, 36220/02, 2009.

¹² <http://www.ombudsman.ge/ge/news/saxalxo-damcveli-ew-sapolicio-reidebis-dawyebas-exmaureba.page>

¹³ „პოლიციის შესახებ“ კანონის 24-ე მუხლის მეხუთე პუნქტი.

ამასთან, სამხრე კამერების არქონის მიუხედავად, პოლიციელებს შეეძლოთ, მოქალაქესთან კონტაქტისა და დაკავების სრული პროცედურა პირად მოზიღურ ტელეფონებზე გადაეღოთ, რაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეებზე უკვე დამკვიდრებული პრაქტიკაა. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებას სამი პოლიციელი ახორციელებდა, ხოლო ზ. 1 რ. ი, მათივე განმარტებით, იყო მთვრალი და აგრესიული, მათ არ დააფიქსირეს დაკავებამდე არსებული სიტუაცია, რაც ყოველგვარ ეჭვს გამორიცხავდა სამართალდარღვევის არსებობასთან დაკავშირებით.

შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტრომ საპოლიციო კონტროლში მონაწილე პირები არ აღჭურვა სამხრე კამერებით, რაც კანონისმიერ ვალდებულებას წარმოადგენდა, ხოლო პოლიციელებმა არ გადაიღეს დაკავებამდე არსებული სიტუაცია. შედეგად, სახელმწიფომ ვერ წარმოადგინა ნეიტრალური მტკიცებულება, რომელიც გაამყარებდა პოლიციელთა ჩვენებას და დაადასტურებდა ზ. 1 რ. ის მიერ სამართალდარღვევის ჩადენას.

სამწუხაროდ, აღნიშნული გარემოება თბილისის საქალაქო სასამართლოს ყოველგვარი ყურადღების მიღმა დარჩა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლოებს არ მოეთხოვებათ დაცვის თითოეულ არგუმენტზე ჰასუხის გაცემა,¹⁴ მათ უნდა განმარტონ გადაწყვეტილების მიღების მთავარი საფუძვლები.¹⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის დადგენილებაში საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით დადგინდა ზ. 2 რ. ს ბრალეულობა. სასამართლო ახდენს მხოლოდ კოდექსის ნორმებისა და წარმოდგენილი მასალების ციტირებას და ასკვინის, რომ „საქმის მასალებით დასტურდება ზ. 1 რ. ის მიერ [...] სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი“.¹⁶

სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „პასუხისმგებაში მიცემულ პირს სასამართლოსთვის არ წარმოუდგენია ადმინისტრაციული საართალდარღვევის ჩადენაში მისი ბრალის გამომრიცხავი მტკიცებულებანი“,¹⁷ რითიც მტკიცების ტვირთი მოქალაქეზე გადაიტანა. ერთგვარი „დამნაშავეობის პრეზუმეციის“ პრაქტიკის დამკვიდრება და ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე პირის სამართალდამრღვევად ცნობა დამკვიდრებული სამწუხარო ტენდენციის გამოძახილია, რაც ცვლილებას საჭიროებს.¹⁸

აღსანიშნავია ისიც, რომ ნეიტრალურ მტკიცებულებებთან დაკავშირებით სწორი სასამართლო პრაქტიკა გვხვდება სისხლის სამართლის საქმეებზე. მაგალითისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენში იმსჯელა საქმეზე, როდესაც სასამართლოს პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლებისა და მსჯავრდებულის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები წარედგინა, ხოლო სახელმწიფომ დაწესებულებაში არსებული ვიდეოკამერების ჩანაწერები არ მოიპოვა.

¹⁴ ვან დე ჰურკი (Van de hurk) ნიდერლანდების წინააღმდეგ. 16034/90, 1995.

¹⁵ ბოლდეა (Boldea) რუმინეთის წინააღმდეგ, 19997/02, 2007.

¹⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს დადგენილება N4/9752-17 საქმეზე, გვ. 4.

¹⁷ იხ. დასახელებული დადგენილება, გვ. 5.

¹⁸ დამატებით იხ. სახალხო დამცველის 2015 წლის საპარლამენტო ანგარიში, გვ. 465–466.

მოსამართლემ გამამართლებელ განაჩენში მიუთითა, რომ „პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლების ჩვენებები არ შეიძლება გაზიარებული და უტყუარად მიჩნეულ იქნეს ყოველგვარი ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე“.¹⁹ მოსამართლემ მართებულად აღნიშნა, რომ „თანაბარი მტკიცებით ძალის მქონე ორ ერთგვაროვან მტკიცებულებებს შორის არსებით ურთიერთწინააღმდეგობისას საჭიროა წარმოდგენილ იქნეს სხვა მტკიცებულება“.²⁰

აღნიშნული ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულება, ანუ მტკიცების ტვირთი, სრულად აკისრია სახელმწიფოს. შესაბამისად, მოსამართლემ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბრალდებამ არ წარმოადგინა ვიდეოჩანაწერები, რომელიც დაწესებულების თანამშრომლების ჩვენებების ნამდვილობას დაადასტურებდა და რომლის წარმოდგენის ვალდებულებაც სახელმწიფოს გააჩნდა.²¹

ზემოხსენებული მსჯელობა სრულად შეესაბამება კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით დადგენილ სამართლიანი სასამართლოს პრინციპებს. შესაბამისად, აუცილებელია ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკის ცვლილება, რათა ადეკვატური რეაგირება მოყვეს ნეიტრალური მტკიცებულების წარმოდგენის ვალდებულების შეუსრულებლობასა და პოლიციელთა მიერ სამხრე კამერების არგამოყენების ფაქტებს.

დამატებით აღსანიშნავია ისიც, რომ რაკი პოლიციელები აღჭურვილი არ იყვნენ სამხრე კამერებით და არ მომხდარა დაკავების პროცესის სრული ვიდეოგადაღება, დაწყებული გამოძიების²² ფარგლებში ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება პოლიციის მიერ გამოყენებული ფიზიკური ძალის ადეკვატურობისა და პროპორციულობის დადგენა. გახდა თუ არა ზორ ი პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების მსხვერპლი, ამჟამად არ წარმოადგენს სასამართლოს მიერ განსახილველ საკითხს, თუმცა სასამართლომ სათანადოდ უნდა შეაფასოს სამხრე კამერების არგამოყენების ფაქტი მაშინ მაინც, როდესაც ამას კანონი ერთპიროვნულად მოითხოვდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ გაგზავნილი სიგნალი პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების რისკებს მხოლოდ გაზრდის.

დასკვნა

ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში სამხრე კამერების გამოყენების ვალდებულება ორი პარალელური, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანი მიზნის მისაღწევად გაიწერა. სამხრე კამერები უზრუნველყოფენ სასამართლოსთვის ნეიტრალური მტკიცებულების წარდგენას და მნიშვნელოვნად ამცირებენ თვითნებობის რისკებს. ნეიტრალური მტკიცებულების გარეშე, მხოლოდ პოლიციელთა ჩვენებებზე დაყრდნობით პირთა სამართალდამრღვევად ცნობა ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენი N1/3447–15 საქმეზე, გვ. 14.

²⁰ იხ. დასახელებული განაჩენი, იქვე.

²¹ იხ. დასახელებული განაჩენი, გვ. 16–17.

²² http://pog.gov.ge/geo/news?info_id=1466

წინამდებარე საქმეს ასევე უაღრესი მნიშვნელობა გააჩნია პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების პრევენციის მხრივ. აღნიშნულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ეჭვგარეშედ გამოიწვევს მნიშვნელოვან დადებით გავლენას სასამართლო პრაქტიკაზე. ამჟამად დამკვიდრებული სასამართლო პრაქტიკის შეცვლით სააპელაციო სასამართლო ხელს შეუწყობს პოლიციის მიერ სამხრე კამერების გამოყენების მაჩვენებლის ზრდას, რაც დანაშაულის მნიშვნელოვანი შემაკავებელი ფაქტორია.

პატივისცემით,

ნინო ლომუხარია

სახალხო დამცველი

